საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-516

27/06/2018

ქ. თბილისი

გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. გამარჯვებაში შპს „ჩემი რანჩოს“ არსებული სასაკლაოს წარმადობის გაზრდასა და ბიოლოგიური ნარჩენების განთავსებაზე („ბეიკერის ორმო“-ს მოწყობა და ექსპლუატაცია) სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ჩემი რანჩოს“ მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. გამარჯვებაში (ს.კ 81.07.04.460) შპს „ჩემი რანჩოს“ არსებული სასაკლაოს წარმადობის გაზრდისა და ბიოლოგიური ნარჩენების განთავსების („ბეიკერის ორმო“-ს მოწყობა და ექსპლუატაცია) სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე შპს „ჩემი რანჩოს“ გააჩნია მებოცვრეობის ფერმა, რომელიც გათვლილია წელიწადში დაახლოებით 600 დედა ბოცვერზე და 25000 ბოცვრის გამოზრდაზე, საიდანაც დაგეგმილია 40 ტონა ხორცის მიღება. ფერმაზე მიბმულია სპეციალიზირებული სასაკლაო, რომელიც ფუნქციონირებს კვირაში 6 დღე, დღეში საშუალოდ 2 საათის განმავლობაში. საშუალოდ კვირაში იკვლება 480 ბოცვერი.

მებოცვრეობის ფერმიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია 600 მეტრით, ხოლო ფერმის შემოგარენ ტერიტორიებზე განთავსებულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. ფერმაში წყლის მიწოდება ხორციელდება ავტოტრანსპორტით, რომელიც ისხმება წყლის სამარაგო რეზერვუარში.

კომპლექსს გააჩნია ორი მიწისქვეშა, ჰერმეტულად აშენებული რეზერვუარი. ერთ რეზერვუარში გროვდება ფერმიდან გამომავალი ცხოველების შარდი. ორ წელიწადში ერთხელ რეზერვუარი საჭიროებს დაცლას. აღნიშნული ნარჩენის გატანა ხდება შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. რაც შეეხება ნაკელს, იგი გადაეცემა ადგილობრივ ფერმერებს, როგორც სასუქი.

მეორე რეზერვუარი განკუთვნილია სასაკლაოსა და ფერმაში წარმოქმნილი თხევადი ნარჩენებისთვის. აღნიშნული რეზერვუარი დაცლას საჭიროებს 12-16 თვეში ერთხელ და მისი გატანა ხდება შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

სასაკლაოს ფუნქციონირებისას, ასევე წარმოიქმნება ბოცვრების დაკვლისას წარმოქმნილი არასახიფათო ნარჩენები (ბოცვრის თავი, ტყავი, შინაგანი ორგანოები), რომლის დღიური რაოდენობა არ აღემატება 75 კგ-ს. მისი გატანა ამჟამად ხდება შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

საწარმოში სამომავლოდ იგეგმება მეორე ფერმის აშენება და არსებული სიმძლავრის გაორმაგება. კერძოდ ჯამური რაოდენობა გამოსაზრდელი

ბოცვრებისა იქნება 50000 ცალი. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაიზრდება სასაკლაოს წარმადობა, კერძოდ კვირის განმავლობაში დასაკლავი ბოცვრების რაოდენობა გაიზრდება საშუალოდ 960 ბოცვრამდე, ანუ კვირის განმავლობაში დაიკვლება დამატებით 480 ბოცვერი. შესაბამისად გაიზრდება წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობაც. კერძოდ მოსალოდნელია დღეში 150 კგ ცხოველური ნარჩენების წარმოქმნა.

აღნიშნული ცხოველური ნარჩენების (ბოცვრის თავი, ტყავი, შინაგანი ორგანოები) განთავსებისათვის საწარმოში იგეგმება ე.წ „ბეიკერის ორმოს“ მოწყობა, სადაც განხორციელდება აღნიშნული ნარჩენების განთავსება და შემდეგ მათი გატანა შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. „ბეიკერის ორმოს“ სიღრმე იქნება 2,5 მ; სიგანე 2,5 მ; სიგრძე 6 მ (გაყოფილი ორ ნაწილად);

ფერმაში წყლის გამოყენება ხდება ბოცვრების სასმელად დაახლ. 5-6 მ^3 წყალი კვირაში, ამდენივე იხარჯება ზაფხულის თვეებში გაგრილების სისტემაზე. ამასთან დაახლ. 1,5მ^3 იხარჯება სასაკლაოს და და ფერმის სხვა საჭიროებისათვის. არ არის წარმოდგენილი მეორე ფერმის აშენებისა და შესაბამისად სასაკლაოს წარმადობის გაზრდის შემდეგ რა მოცულობის წყლის გამოეყენება იქნება საჭირო. დაზუსტებას და დეტალიზაციას საჭიროებს ობიექტზე წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების მართვის და ასევე სანიაღვრე წყლების მართვის საკითხები.

ე.წ „ბეიკერის ორმოში“ შეგროვებული ნარჩენები წელიწადში 47 ტონის ოდენობით, სკრინინგის განცხადების თანახმად გატანილი იქნება მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე. ასევე სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ შესაძლებელია მათი გამოყენება სასუქის სახით სასოფლო-სამეურნეო მიწებში შეტანით, რაც საჭიროებს დაზუსტებას როგორ და რა პროცესების გავლის შემდეგ იქნება შესაძლებელი აღნიშნული ნარჩენის გამოყენება სასუქად.

საქმიანობა არ არის დაგეგმილი ჭარბტენიან ტერიტორიასთან, შავი ზღვის სანაპირო ზოლთან, ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სახელმწიფო ტყის ფონდსა და დაცულ ტერიტორიებზე.

საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში მოსალოდნელია ატმოსფერილი ჰაერის დაბინძურება მავნე ნივთიერებების გაფრქვევით (აზოტის ორჟანგი, ნახშირჟანგი, გოგირდის ორჟანგი, მეთანი, ამიაკი, ტოლუოლი, ქსილოლი, ფორმალდეჰიდი, ეთილბენზოლი, გოგირდწყალბადი). აგრეთვე მოსალოდნელია უსიამოვნო სუნის გავრცელება. მავნე ნივთიერებების გამოყოფისა და უსიამოვნო სუნის გავრცელების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ე.წ „ბეიკერის ორმო“. კერძოდ, აირების ემისიამ ატმოსფეროში შესაძლოა გამოიწვიოს ჰაერის დაბინძურება და უსიამოვნო სუნის გავრცელება.

მებოცვრეობის ფერმის ტერიტორიაზე დაგეგმილი სამუშაოების ჩატარების პერიოდში მოსალოდნელია მიწის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედება.

საქმიანობის განხორციელების შეთხვევაში, კერძოდ სასაკლაოს ფუნქციონირებისას მოსალოდნელია გრუნტის წყლების დაბინძურების რისკი. აღსანიშნავია აგრეთვე ჯანმრთელობის რისკი, რაც უკავშირდება ნარჩენების მართვას.

სასაკლაოს ექსპლუატაციისა და ე.წ „ბეიკერის ორმოს“ მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია ნიადაგზე, მიწისქვეშა წყლებზე და ატმოსფერულ ჰაერზე (ასევე სუნის გავრცელება) ზემოქმედება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებით დგინდება, რომ ობიექტის მოწყობამ და ექსპლუატაციამ შესაძლოა გამოიწვიოს გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით და ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის, ამავე კოდექსის II დანართის 7.6 და 10.2 ქვეპუნქტების საფუძველზე და ,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე” (07.12.2017 N 1620-რს) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. გამარჯვებაში შპს „ჩემი რანჩოს“ არსებული სასაკლაოს სიმძლავრის გაზრდა და ბიოლოგიური ნარჩენების განთავსება (,,ბეიკერის ორმო“-ს მოწყობა და ექსპლუატაცია) დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს ,,ჩემი რანჩო“ ვალდებულია უზრუნველყოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლით დადგენილი სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს ,,ჩემი რანჩოს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჩემი რანჩოს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკრინინგის გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გარდაბნის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფებზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი